15

სახალხო გაზეთი

№ 800 პარასკევი, 18 იანვარი 1913 წ.

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ ორი წიგნი
1) უცხოეთის მწერლები 400 გვ.)
2) ქართველი მწერლები (500 გვ.)

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. 40 კაპ.

დანარჩენ შემთხვევაში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმან ეს ფული არ გადაიხადოს.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

ანნა მიხეილის ასული ქარუმიძისა, ალექსანდრე დავითის ძე ძმებით, შალვა ალექსანდრეს ძე ბიძაშვილებით ქარუმიძენი და თამარა ჩხარტიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი საყვარელ მეუღლის, მეორენი საყვარელი ძმის და მესამენი—ბიძის

ნიკოლოზ დავითის ძის ქარუმიძისას.

ცხედარს ბინიდან გამოასვენებენ (მადათოვის ქ. № 5, ცენტრალურ ფოსტის შენობა) დღეს, პარასკევს, 18 იანვარს, დილის 9½ საათზედ სამების ეკლესიაში. წირვის შემდეგ სამ. საათის მატარებლით (№ 9, 3 ს. 0 წ.) წაასვენებენ სოფ. კასპში წმ. თევდორე ტირონის ეკლესიაში დასაკრძალავად. 53.

ეკატერინე ივანეს ასული გუგაურისა, ნიკოლოზ, ივანე, კონსტანტინე და იოსებ მიხეილის ძენი გუგაურები, სოფიო მიხეილის ასული ჩხარტიშვილისა, ბარბარე მიხეილის ასული მეძმარიაშვილისა და სამთო ინჟენერი ივანე სოლომონის ძე მეძმარიაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელ სიძისას და უკანასკნელი—ქვისლისას ნადვორნი სოვეტნიკის

ნიკოლოზ დავითის ძის ქარუმიძისას.

ცხედარს დღეს დილის 9 ნახ. საათზედ ბინიდან (მადათოვის ქუჩა, 5) გამოასვენებენ სამების ეკლესიაში, საიდანაც, წირვის მოსმენის შემდეგ სამი საათის მატარებლით წაასვენებენ სოფ. კასპში დასაკრძალავად. 52.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 44.

კვირას, 20 იანვარს, ქართ. დრ. საზ. დასის მიერ **ს. აბაშიძისა** და **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმ. იქნება

ორი გმირი დრამა 3 მოქ. გადმ. ვლ. გუნიას მიერ.

1) ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს, კომ. 2 მოქმედ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გოგოლაშვილი, კარგარეთელი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, ზარდალიშვილი, ციციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

დასაწყ. ხალ. 8 ს ადგილებ. ფასი ჩვეულებრივია

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**. **ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ.**

ხუთშ., 24 იანვ., დამსახურებულ მსახიობის **ვას. აბაშიძის** საბენეფისოდ წარ. იქნება სუმბათაშვილი-იუჟინის ცნობილი პიესა „შევარდნები და ყორნები“. 1013

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 20 იანვარს,

გაიმართება **დილა: ბალკანეთის ომი.**

I. **ს. შახოვი** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე: **„ბალკანეთის ომი“.** 1) ძირითადი ხასიათი თანამედროვე ომებისა აგრესიულ-კოლონიალური საერთა-შორისო დიპლომატია და ბრძოლა გეგემონიისთვის. დიდ სახელმწიფოთა საანექსიო პოლიტიკა. ევროპა და ოსმალეთი. ბალკანეთის კავშირის მიზნები. 2) თანამედროვე ომის „სარწმუნოებრივი ხასიათის“ შესახებ. ქრისტიანობის ელემენტები და ნახევარი მთვარე ბალკანეთის ეპოპეის ისტორიაში. სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს თუ არა ოსმალეთ-ბალკანეთის ომს. ოსმალეთის უკანასკნელი დღენი. დასკვნა.

II. **საკონცერტო განყოფილება.**

შესრულებულ იქნება: ჩერნოგორიის ჰიმნი, სლავიანთა საძმო სიმღერა, „შუმი მარიცა“. აგრეთვე არიები ოპერიდან, რუსული სიმღერები და რომანსები. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გერმუტი, კუზაკოვა, კოვალევსკაია; ბ-ნნი: დუელი, სალინი, პრავიკოვი და სხვა. **დასაწყ. ნაშუადღ.** 1 ს. ფასები 5—50 კ. ბილეთ. იყიდება ყოველ დღე სახალ. სახლის კასაში.

თედო დოლიძე. 51

„ძმ. ა. და ა. მილოვების“
სავაჭრო სახლის
ხელზე ვაჭრობის განყოფილება
გოლოვინის პროსპ., საკადეტო კორპუსის პირდაპირ.

გასულ წელთა მაგალითებისამებრ, მხოლოდ **ერთხელ წელიწადში!** დანიშნულია 7 დღის განმავლობაში **19, 21, 23, 24, 25, 26 იანვარს**

დარჩენილ საქონლის **დიდი ვაჭრობა**

და საზამთრო სეზონისაგან გადარჩენილ ყოველნაირ სავაჭროსი.

✦ **დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა** ✦

აბრეშუმეულობისა, მატყლეულობისა, მაუდის, ტილოს და ბამბეულობის საქონელი; სუფრები, საბნები, შალი, **პორტიერებისა** და **ტიულისა, ინგლისისა** და **რუსეთის ფირმების** მაუდის საქონელი.

სადილის დროს 2½ საათიდან 4 საათამდე მაღაზია დაკეტილი იქნება. 1027

განცხადება.
საიუბილეო კომიტეტი
ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა,

ამით აცხადებს ყველა მათ საყურადღებოდ, ვინც კასაში ჩაეწერნენ,

შეიძინონ ბილეთები 25 იანვრამდე,

ამ დღიდან შეკვეთილი ბილეთები უსათუოდ გაიყიდება, რადგანაც საიუბილეო ბილეთებზე საზოგადოებისაგან დიდი მოთხოვნილებაა. 1026

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრებს, რომ საზოგადო წლიური კრება კლუბის წევრებისა დანიშნულია ამა წლის 20 იანვარს, შუადღის 12 საათზე. განსახილველი საგნები:

1) წარსული 1912 წლის ანგარიში და 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
2) წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა ამორჩევა.
3) მამასახლისთა სარევიზიო კომისიისა და მათი კანდიდატების არჩევა

წევრებს, რომელთაც არ განუახლებიათ ბილეთები 1913 წლისა, არა აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა საზოგადო კრებაზე. 1017.

ახლად გამოვიდა
პაპიროსები
„ეგიპეტსკია“
ძმათა
სეილანოვების
ქარხნისა.

ეტიკეტი წარდგენილია ვაჭრ. მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში. 1531

ქ. ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
გ. გ. გიგინეიშვილის
საბუღალტრო კურსები

15 იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე განყოფილება, მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით. სწავლის ფული ასი მან. კურსი ათი თვისაა. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა.). 1002.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ 7—92.** 847

ექიმი მედიცინისა **ი. ბ ჩუდნოვსკი**

ნერვებისა და შინაგან სნეულებათა. წამლობა ელექტრონითა და რადიის ემანაციით. ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—8 ს.-მდე.

კიროჩნის ქუჩა, სახ. № 18.

ტელეფ. № 1090. 48

ექიმი ი. ქ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ელექტრონისა და რენტგენის საავადმყოფო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღებ.** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. სალ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

საგურთალოში

მშვენიერ ალაგას ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის იაალობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. **უმორჩილესად** ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1020

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღ.ამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მარტო დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. და შვილისა

ექიმი ი. ი. გერიშვილი სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასინჯვა** **რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ. № 16** კიროჩნის ქუჩის ახლო, [illegible] 102

ტფილისი, 18 იანვარი.

აკაკი წერეთელი ოფიციოზის სამსჯავროს წინაშე. ჩვენს მკითხველებს ეცოდინებათ, რომ აკაკი წერეთელს მოსკოვის საზოგადოება დიდის აებით დაჰხვდა. მოსკოვის თითქმის ყველა დიდმა გაზეთებმა განსაკუთრებული წერილები უძღვნეს. ოფიციოზ „კავკაზ“-ს ეს არ მოეწონა და მოსკოვის საზოგადოებას საყვედურები შეუთვალა. „კავკაზი“ ამტკიცებს, რუსებს შვილები და გერები არა ჰყავს. ესეც არ იყოს, პროგრესიულ გაზეთისთვის უხერხულია ამა თუ იმ ერის საემანსიპაციო უფლებათა დასაცავად მეორე ერის, ამ შემთხვევაში სომხების უფლებებზე მითითება. ჩვენც ასეთი მითითება უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. სომხები არა ნაკლებ განიცდიან იმ პოლიტიკის სიმწვავეს, რომელსაც გამარუსებელი პოლიტიკა ეწოდება. მაგრამ გვგონია, რომ ბ-ნ პანკრატოვს „რუსკოე სლოვო“-ში სისწორით არ ექნებოდა გადაცემული აკაკი წერეთლის სიტყვა. პოეტს უსათუოდ უნდოდა ეთქვა და ჩვენა გვგონია სწორედ ისეც იტყოდა, რომ სომხები, რომელთაც დამოუკიდებელი საეკლესიო მართვა-გამგეობა აქვთ, ამ შემთხვევაში უკეთეს პირობებში არიანო.

სხვაფრივ კი „კავკაზი“-ს შენიშვნები ყოველ-გვარ კრიტიკის გარეშე სდგას. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია წერილის კილო. „კავკაზსა“ სწყინს თვით ის გარმოებაც კი, რომ ქართველთა პოეტს მოსკოვში გულ-მხურვალედ დაჰხვდნენ და „ყველაზე მეტად გავრცელებულმა გაზეთმა“ ქართველი პოეტის აზრები გამარუსებელ პოლიტიკის შესახებ მთელს რუსეთს მოჰფინა. „კავკაზი“, რა თქმა უნდა, უფრო კმაყოფილი იქნებოდა, თუ ის, რაც საზოგადოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ჰხდება, არავის ეცოდინებოდა.

რუსის მთავრობას რომ კავკასიაში შვილები და გერები კიდეცა ჰყავდესო,—სწერს „კავკაზი“—ყოველ შემთხვევაში ასეთი გერები ქართველები არ იქნებიანო. ამის საბუთად „კავკაზს“ მოჰყავს ეგზარხოსის ინოკენტის სიტყვები, რომლებიც მან თავად-აზნაურთა წინაშე წარმოსთქვა. განა ამისთანა სიტყვას ქართველების მოძულე ეგზარხოსი იტყვისო?—თავმომწონედ გვეკითხება ოფიციოზი. ხელმეორედ გულ-დასმით წავიკითხეთ ეგზარხოსის სიტყვა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი პოეტის აკაკი წერეთლის აზრისა სწორედ ეს სიტყვაა. ეკლესიის უმაღლესი მსახური უპირველესად ყოვლისა იმას აფასებს თავად-აზნაურობაში, რასაც ჯარის უფროსი უნდა აფასებდეს—გმირობას, ვაჟკაცობას, თავ-დადებას და სხვ.

როდესაც ოფიციოზ „კავკაზს“ ინოკენტის ეს სიტყვები მოჰყავდა, რატომ ერთხელ მაინც არ იკითხა, როგორ იქცევა იგი მაშინ, როდესაც საქმე პირდაპირ ქართულ ეკლესიის ინტერესებს ეხება? შორს რომ არ წავიდეთ მაგალითებისთვის, მოვიგონოთ დიდუბის ეკლესია, ან ალავერდის კათედრის გაუქმების საქმე. იმედია ოფიციოზიც კი უარს ვერ იტყვის, რომ ის იყო იმ ზომებში, რომლებიც მიიღო ეგზარხოსმა დიდუბის ეკლესიისა და ალავერდის კათედრის გაუქმების საკითხის გადაწყვეტის დროს, ქართველთადმი სიყვარულს ვერ აღმოაჩენს. არსებობს მშვენიერი სიტყვები ქართველთა უკვდავი პოეტისა. „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა—შეუზის დიდი ზღვარი“

ეს მშვენიერი სიტყვები შოთა რუსთაველისა კარგია „კავკაზმა“ დაიზეპიროს.

ახალი ამბავი
ტფილისი

✦ 16 იანვარს ხმოსანმა კეილმა ქალაქის პირველი ღამის თავშესაფარი დაათვალიერა. თავშესაფარის შენობის გასათბობად ნაყიდი შეშა მეტად უვარგისი აღმოჩნდა. ბ-ნმა კეილმა, რომელსაც დავალებული აქვს თავშესაფარზე თვალყურის დევნება, თავშესაფარის უფროსს წინადადება მისცა, შეშის ყიდვის დროს უსათუოდ ისიც (კეილი) მიიწვიოს ხოლმე.

✦ **ტფ. საპირფარეშო არტელმა** გუშინ წერილობით სთხოვა ქალაქის გამგეობას, მიანდოს მას სხვა და სხვა საქალაქო ხარჯების აკრეფა, თანახმად ქალაქის საბჭოს სარევიზიო და საფინანსო კომისიების მიერ გამოთქმულ სურვილისა.

✦ სავაჭრო პოლიციამ ხორცის ნიხრის დარღვევისათვის 16 იანვარს ოქმი შეუდგინა ყასაბს კიკნაძეს.

✦ **მეფის მოადგილემ ნება დართო,** კვლავ დაარსონ მშობელთა წრე ღედათა მეორე გიმნაზიასთან. ამის გამო 20 იანვარს გიმნაზიის შენობაში მოსწავლეთა მშობლებისა, აპეკუნებისა და მზრუნველთა კრება მოხდება მშობელთა წრის წევრთა ასარჩევად.

✦ **ტფ. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა,** როგორც მკითხველებმა იციან, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ადგილი იყიდა, სადაც ბანკის ახალ შენობას აგებენ ავაროზს. ბანკმა გუშინდლამდე სხვა და სხვა პირისაგან ასამდე შენობის პროექტი მიიღო, სხვათა შორის, ქართველ ხუროთ-მოძღვარ სხ.

კლდიაშვილისაგან. პროექტს ბანკის გამგეობა ამ დღეებში გაარჩევს.

◆ **ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი** გუშინ დილით ბაქოდან ტფილისს ჩამოვიდა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი **ბარონ ფონ-დერ როოპი** გუშინ ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **კახეთის რკინის გზის** გამგეობა სიღნაღის მაზრის სოფელ გურჯაანში სამკურნალოს აარსებს 5 საწოლით. გამგეობას უკვე დაარსებული აქვს სამკურნალოები საგარეჯოსა და კაკაბეთში. გზის გაყვანის შემდეგ კახეთის რკინის გზის მთავარი სავადმყოფო დაარსდება ტფილისში.

◆ **ხმოსანმა მ. ზ. ავთანდილოვმა** გუშინ ქალაქის გამგეობას წერილობით განუცხადა, რომ თავს ანებებს ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრობას.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად შემდეგი ლექციები გამართოს 20 იანვარს: „ნაძალადევის" თეატრში ლ. მუშუგასი შემდეგს თემაზე: „მუშათა დაჯილდოვება უბედურს შემთხვევებში" (დასაწყისი შუადღის 12 საათზე) და სახალხო თეატრში: 11 საათზე ნაფიც ვექილის თანაშემწის ს. ა. კარიბოვისა ბალკანეთის ომზე და 12 საათზე ფილოსოფიის დოქტორის მარქარიანისა შემდეგს თემაზე: „სქესობრივი საკითხი".

◆ **ქალაქის ბეითალთა** ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა, ამ დღეებში ტფ. ყველა ბეითლის კრება მოიწვიოს. კრებამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი ქალაქის ახალ სასაკლაოში საქმის წესიერად დასაყენებლად.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება.** საბოლოოდ გამოირკვა, რომ 5 იანვარს განზრახული პირველი საჯარო კრება საზოგადოებისა მოხდება 1 თებერვალს ზუბალაშვილის სახალხო სახლში. პროგრამა გაფართოვებულია. დაწვრილებით შემდეგ იქნება გამოცხადებული.

◆ 19 იანვარს, **საზოგადო კლუბში** სცენის მოყვარეთაგან დანიშნულია წარმოდგენა სამ მოქმედებიანი დრამისა „მარტოდ მარტო" (კლუბი იმყოფება აბას-აბადის მოედანზე № 7). ამ წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ბალი. ამ საღამოსთვისვე დანიშნულია კრება წარსული წლის ანგარიშის განსახილველად.

◆ ქალთა ქართულ სკოლის სამზრუნველო დიდ მადლობას უძღვნის ქ. სალთყაიასას, პ. ს. დორონჟინოვს მალაზიას და კავკასიურ საავთიაქო ამხანაგობას, რომელთაც სხვა და სხვა ნივთები შემოსწირეს სამზრუნველოს ღარიბ ბავშვებისათვის გამართულ შობის ხის გასამართად.

◆ ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში არსებულ უფასო სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის №№-ს, რომელმაც კნეინა ვერა ალექსანდრეს ასულის ჭავჭავაძის ხელით გამოუგზავნა გამგეობას 10 მანათი.

სახელმწიფო საბჭო

სხდომის შეწყვეტამდე, სახელმწიფო საბჭომ, **აკიმოვის** თავმჯდომარეობით, მიიღო კანონ პროექტი, რომლითაც სამაიორატო აღთქმულ და ნაწყალობევ მამულის მფლობელთ ნება ეძლევათ გასცენ ზემოხსენებულ მამულებიდან მიწა გლეხების სასარგებლოდ. საბჭომ მცირე ცვლილება შეიტანა კანონ-პროექტში. კანონ-პროექტიდან გამოირიცხა სულმთლად სათათბიროს მიერ შეტანილი მუხლი, რაც ნებას რთავდა მემამულეთ სახელმწიფო და საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გასცენ აღთქმულ, სამაიორატო და ნაწყალობევ მამულებიდან მიწები. ამის გამო კანონ-პროექტი საბჭომ სათათბიროს დაუბრუნა.

ნარიშკინი მოითხოვდა, უარეყო საბჭოს კანონ-პროექტი, რადგანაც დროებით არსებულმა კანომა მიზანს უკვე მიაღწია. კანონ-პროექტი 1905 წლის გამოწვეულია, იგი ცალმხრივია, სრულიად ამახინჯებს არსებულ კანონს, ძირს უთხრის აღთქმით მამულების ინსტიტუტს, არღვევს სამოქალაქო სამართლის არსებულ დებულებას, რადგანაც კერძო საკუთრების უფლება დროებითი მფლობელს კი არ ეკუთვნის არამედ მთელ გვარს. არ შეიძლება დროებით მფლობელის სასარგებლოდ სარგებლობის უფლება მთელ გვარს წაერთვათ.

სხდომის განახლებისას საბჭომ მოისმინა საფინანსო კომისიის მოხსენება, შესახებ კანონ-პროექტისა, რომელიც წონისა და ზომის არსებულ კანონების შეცვლას მოითხოვდა. კანონ-პროექტის მიხედვით საჭიროა თვალ-ყური ადევნონ მაზრებში ზომების და წონის ხმარებას. ეს მოვალეობა ერობას კი არ უნდა დაეკისროს, არამედ მაზრის პოლიციას და შემოწმებელ პალატას. რადგანაც კომისიამ კანონ-პროექტში შესწორება შეიტანა, საბჭომ სათათბიროს იგი უკანვე დაუბრუნა.

გოლუბევის თავმჯდომარეობით საბჭომ მიიღო შესწორების მთელი რიგი სავაჭრო სახლებსა, კანტორებსა და საწყობებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის თაობაზე. მაგრამ რადგანაც კომისიამ აქაც შეიტანა შესწორებანი, კანონ-პროექტი ისევ სათათბიროს გადასცეს. შემდეგი სხდომა 23 იანვარს მოხდება. მსჯელობა იქნება ვექილ ქალთა კანონ-პროექტის თაობაზე.

ჟურნალისტის დღიური

114.

მარშლის არჩევნები.

თავად-აზნაურთა მარშლის არჩევნები დასრულდა. ამით, ვფიქრობთ, ბოლო უნდა მოეღოს იმ დაუსრულებელ და ხშირად არა სასურველ ზომამდე მისულ პოლემიკას, რომელიც გამართული იყო გაზეთებში. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი გავიდა. უეჭველია ასეთივე ბედი ეწვეოდა თავ. თუმანიშვილსაც, რომ ჭკუა არ ეხმარა და თავისი კანდიდატურა არ მოეხსნა. აირჩიეს თავ. აბხაზი, რომელიც ჯგუფობრივ ბრძოლის გარეშე იდგა. საყურადღებოა, რომ ამ არჩევანს სიამოვნებით შეხვდა გაზეთი „ზაკავკაზიე"-ც, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ენერგიულად იცავდა თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის კანდიდატურას. მაშასადამე, თავად-აზნაურთათვის შეიქმნა საუკეთესო პირობები, როდესაც შეუძლიანთ მთელი თავისი გულისყური საქმეს მიაპყრონ. ბევრი რამ არის გასაკეთებელი. როგორ და რანაირად გაკეთდება საქმე, ეს უკვე მთლად თავ. აბხაზის ტაქტზეა დამოკიდებული. თუ მან მოახერხა და თავის გარშემო შემოკრიბა ისეთი ხალხი, რომელნიც თავიანთ მოქმედების დროს მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესებით ხელმძღვანელობენ ხოლმე, ნაყოფიერი მუშაობა შესაძლებელი გახდება.

ჩვენის აზრით, თავად-აზნაურთა ახალმა წინამძღოლმა უპირატესი ყურადღება უნდა მიაქციოს იმავ კახეთის რკინის გზას, რომლის გამოც ბევრი მელანი დაიხარჯა და დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. თავად-აზნაურობამ თავისი ვოტუმით ამ საქმის გამობრუნება ახალ, ნეიტრალ ადამიანს ჩააბარა. თუ კიდევ შეიძლება საქმის გამობრუნება, თავ. აბხაზმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს მის გამოსაბრუნებლად. ყველა, ვისაც კი შეუძლიან, მოვალეა დახმარების ხელი გაუწოდოს ახლად არჩეულ წინამძღოლს. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის მომხრენი ამბობდნენ, ამის არჩევა საჭიროა უპირველეს ყოვლისა კახეთის რკინის გზისთვისაო. თუ ეს მართლა ასეა, მიბრძანდეს თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი და კახეთის გზას უშველოს. ასევე უნდა მოიქცნენ სხვანიც.

მეორე უდიდესი საქმე, რომლის გაძღოლაც დასჭირდება ახლად არჩეულ მარშალს, ამ ბოლო დროს აღძრული საქმეა დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლებაში მიღებულ თანხაზე მოგახსენებთ. ახალი საქმე და ახალი კაცი. მარტო ეს ერთი საქმე რომ გააკეთოს თავ. აბხაზმა, ისიც საკმარისი იქნება.

როგორცა სჩანს, იდეა საერთო რამ დაწესებულების დაარსებისა მარტო საზოგადოების ვიწრო წრეებში არა ტრიალებს. სხვა და სხვა კუთხეებიდან თანაგრძნობის წერილები მოგვდის. სჩანს, ეს აზრი ფართო წრეებშიაც კი თანაგრძნობას პოულობს. რასაკვირველია, ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, თითქოს ის ნაწილი თავად-აზნაურობისა, პირდაპირ არის დაინტერესებული ფულის მიღებით, ერთბაშად დათანხმდება ფულის გადადებას, მაგრამ ენერგიულ მუშაობას მაინც ბევრი შეუძლიან. დღეს საზოგადოებრივი გრძნობა მეტად არის განვითარებული, დღეს მეტი შეგნებაა.

ყველა ეს საუკეთესო თავმდებია იმისა, რომ აზრი ოცნებად არ დარჩება და ხორცს შეისხამს.

შინაური.

ვლ. მესხიშვილის იუბილე

ვლ. მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტმა უკანასკნელ სხდომაზედ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით რამდენიმე მიმდინარე საკითხები განიხილა. კომიტეტმა მოისმინა მოხსენება იმის შესახებ თუ რამდენი ცალი გამოიცეს იუბილიარის ბიოგრაფია და რამდენი ფასი დაედოს ამ გამოცემას. ბიოგრაფია კარგა მოზრდილი გამოვა, ჩართული იქნება შიგ 15 სურათი და სუფთად კარგს ქაღალდზე დაიბეჭდება. კომიტეტმა დაადგინა დაიბეჭდოს 1500 ცალი ბიოგრაფიისა და ფასად 30 კაპ. დაადოს. კომიტეტმა მოიწონა პროექტი სადღესასწაულო გეგმისა და დაადგინა, გადადოს საიუბილეო დღესასწაულის მოსაწყობად ხარჯისათვის 400 მან.

ბ-ნ გ. დ. ჟურულმა საყურადღებო წინადადებით მიმართა კომიტეტს. მან განაცხადა: გამოცდილებით ვიცით რომ ამ გვარს საიუბილეო დღესასწაულებზე დამსწრენი სიამოვნების ნაცვლად შეწუხებას განიცდიან ხოლმე რადგანაც სხვა და სხვა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელთა გარდა ბევრნი კერძოდ გამოდიან და მისალოც სიტყვებს ისე გაუთავებლად ამბობენ ხოლმე, რომ რაც უნდა მომხიბლავი იყოს მათი მილოცვა და სურვილები მაინც ვერ ახდენენ სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რადგანაც მოკლედ სათქმელს მეტად აჭიანურებენ და ძალზე ჰქანცავენ დამსწრე საზოგადოებას. ამიტომ ბ-ნ ჟურულის აზრით საჭიროა განისაზღვროს დრო ორატორთა მისალმებისა: არც ხალხი დაიქანცება და ყველას მიეცემათ საშუალება მიულოცონ იუბილიარს. კომიტეტმა დაადგინა განისაზღვროს დრო ორატორების მიგებებისა 5 წამით და გაზეთების საშუალებითაც ეცნობოს დეპუტატებს ეს გადაწყვეტილება კომიტეტისა. კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე თავის მხრითაც დღესასწაულის გახსნისათანავე მიულოცოს პირველად იუბილიარს და მიართვას საჩუქარი.

საიუბილეო ბილეთების შესაძენად ერთი თვის წინად, მრავალნი მსურველნი რიგრიგობით ჩაეწერნენ; კასაში ბილეთები კარგა ხანია უკვე იყიდება და რადგანაც ბილეთებზე დიდი მოთხოვნილებაა ვინც 25 იანვრამდე ბილეთებს არ აიღებს კასიდან, შემდეგ აღნიშნულ დროისა ბილეთები ყველა მსურველებზე გაიყიდება.

პროფესორ ივ. ჯავახიშვილის ლექცია

ქართულ ძველ ხელოვნების შესახებ.

განსაკუთრებულ გეგმაზეა აშენებული, ეგრედ წოდებული **ჯერაკუმია** პატრიარქისა და მეფისა. ეს სიტყვა მოიპოვება ს. სულხან-ორბელიანის ლექსიკონში, მაშასადამე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია. სიტყვა წარმოსდგება ბერძნულ „ჯერაკომეიონიდან" და ნიშნავს სამოხუცებულოს, სამონასტრო შენობას. ეს იყო სვეტებიანი კამაროსანი შენობა, რომელიც ოთხ-კუთხივ გარშემო უვლის, ხოლო შუაგული ადგილი ეზოთ არის დატოვებული. ეკლესიის შინაგან ნაწილების ტერმინებად მიღებული იყო **საკურთხეველი, სამკვეთლო და სადიაკონო**. საკურთხეველს **კონქი** ჰქონდა. საკურთხეველში იდგა ტრაპეზი, რომელსაც ჰბურავდა ზოგიერთ შემთხვევაში მაჰრდილობელი, ანუ სალხინობელი. საკურთხეველის წინ კანკელი იყო, კანკელი იყო ქვისა ჩუქურთმიანი, უძველეს დროში, შემდეგ კი ხისა, არდაბაგი უდრის ბერძნულ სოლეას და კანკელის შუაგულში იყო ხოლმე ალსავლის კარები.

შენობის აგება იწყობოდა ნიადაგის დავაკებით და საფუძველის ანუ საძირკველის ჩაყრით. საძირკველს რომ ამოიყვანდნენ, შემდეგ შეკიბულად გარს შემოავლებდნენ ხოლმე ხარისხს და მერე მთელს კედლებს ააგებდნენ. სამ-ნაწილად დიდ ტაძარს უეჭველად უნდა ჰქონოდა სვეტები, რომლის ნაწილებად ითვლებოდა სვეტის ხარისხი, სვეტის თავი და საბურავი. სვეტი შეკრული იყო ან ბანურად ან კამაროსნად (კამარა—თაღი), კამარა იყო დაბალი ან მაღალი ან რგვალი, ან პილაკისა (ცილინდრის მსგავსი) ან ჩარდახოვანი. შეიძლებოდა ორ-სართულიანი სვეტებიც ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ნიადაგს, რომელზედაც დამყარებული იყო ხოლმე ზედა სვეტები ერქვა საქცეველი (იარუსი). ზედა სვეტებს კამაროსნად გადაბურულს პატრონიკე ერქვა—(ხორი) როდესაც ტაძარს გუმბათი ჰქონდა, გუმბათი ყოველთვის დამყარებული იყო ხოლმე ოთხს დიდს სვეტზე, რომელსაც ქართულ ხელოვნებაში **კუთხი** ეწოდებოდა. ტაძრის გადაბურული წინა და უკანა და გვერდების ნაწილები იწოდებოდნენ **სამხრეებად**. ტაძრის საბურავს უნდა ჰქონოდა სავრე—კარნიზი. გუმბათი შესდგებოდა ყელისა და თავისაგან.

ქართული ტაძრები განთქმული იყვნენ მშვენიერებით და შემკულობით, აგრეთვე მდებარეობით. ქართულის ტაძრების ნაშთები ამტკიცებენ, რომ ნამდვილი მოთხოვნილება იყო მშვენიერის ბუნებისა და ხელოვნებისა, ხუროთმოძღვრებისა. ტაძრების „განგება (მოწყობილობა) და შემკობა" შეადგენდა აღმაშენებელის მიზანს. შემკობა შეიძლებოდა ქვის გათლილობით, ფერადი ქვის შერჩევით, გამოკანდაკებით, კოზმიდით (ფრიზი), ორკეცი და სამკეცი კამაროსანი წარბით და სარკმლების არშიებით. იატაკს აკობდნენ სხვა და სხვა ფერი კენჭების დაფენით.

სამოქალაქო ხუროთმოძღვრება: სასახლეები, პალატები, სამეფო სასახლე—სრა სასახლე (სრა დიდუ სა, სრა ტაბახმელისა); მეფის სახლ სალხინო, საზაფხულო და საზამ რო სადგურები, XVII და XVIII უკუნეში ცნობილია ალაყაფი, აივანი, სასახლის მაგიერ შანიშნი (შაჰის დასაჯდომი). მე-XII საუკ. სასახლეები აშენებული იყო ბიზანტიელთა რიგზე გრემის შესანიშნავი სასახლე, რომელსაც აქებს არა თუ ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანძე, არამედ სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში. განთქმული იყო აგრეთვე „სახლი მიჭრიტანისა (სარკე) ოქროს ვარაყით შეთხზული" ვახტანგ VI-ისა. იგი იყო შემკული „დიდ მხატვრობითა, ლაჟვარდითა, მარმარილოს კედლებითა. ქართულ სასახლეებს ამშვენებდა წინ სავარდეები და წალკოტები, რომლის ერთი საუკეთესო ფერადებიანი სურათი „ქილილა და დამანას" ერთ ვარიანტშია, რომელიც პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის აზიის მუზეუმში ინახება.

რამდენად ჰყვარებიათ ძველად სავარდეების გაშენება ეს მტკიცდება ერთი ფაქტიდანაც, რომელიც შესანიშნავის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტისაგან არის აღნიშნული. ვახტანგ მე-VI-ეს სეირნობის დროს ველად შეუმჩნევია თეთრი ია

დიმიტრი ყიფიანი

(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)

კარი V.

სამეგრელოს საკითხი თავის-თავადაც ფრიად საყურადღებოა. 1857 წ. სამეგრელოში გლეხთა არეულობა მოხდა. არეულობის დროს სამეგრელოს მთავრის ცოლი, ეკატერინე მოსკოვში იყო ალექსანდრე მე-II გვირგვინის კურთხევის დღესასწაულებზე. და რუსეთის მთავრობამ წესიერების დასაცავად სამეგრელოში ჯარი შეიყვანა და დააწესა იქ სამეგრელოს უმაღლესი მმართველობა, რომლის სათავეში გენ. კოლუბაკინი დააყენა. სამეგრელოს მთავრის ცოლს ურჩიეს პეტერბურგში დასახლება, რათა იქ შესაფერი აღზრდა მიეცა თავის მცირე-წლოვან შვილისათვის, ნიკოლოზისთვის. რაიც შეეხება მთავრის ქონებას უნდა დანიშნულიყო მზრუნველობა (опека), რომელსაც სავსებით უნდა დაეცვა მთავრის ქონება. მზრუნველობის დანიშვნის წინ მთავრობის განკარგულებით მოხდა ინვენტარული აღწერილობა ქონებისა. აღწერილობის საქმე დავალებული ჰქონდა ნამესტნიკის საბჭოს წევრს, დიმიტრი ყიფიანს, რომელმაც, სხვა ოფიციალ მოხელეთა თანადასწრებით, ცნობაში მოიყვანა ქონების რაოდენობა და დაწვრილებითი ინვენტარიც შეადგინა. ამ აღწერილობის მიხედვით მთავრის შემოსავალი 80 ათას მანეთს უდრიდა წელიწადში. ამასობაში მზრუნველნიც დანიშნა მთავრის ცოლმა: ბარონ ნიკოლაი, და თ-დ დ. ჭავჭავაძე, თავისი ძმა (დ. ჭავჭავაძე და მთავრის ცოლი ეკატერინე ალ. ჭავჭავაძის, პოეტის შვილები იყვნენ). „ოპეკუნებმა" საქმე ვერ წაიყვანეს რიგიანად. ადგილობრივი აგენტები ატყუებდნენ და 1858 წ. მთავრის ცოლს მხოლოდ 277 მან. შემოსავალი შემოუვიდა. საჭირო იყო უფრო მხნე მზრუნველის გამონახვა და მთავრის ცოლმა დიმიტრი ყიფიანსა სთხოვა ამ მოვალეობის ასრულება. მაშინდელ ნამესტნიკს თ-დ ბარიათინსკისაც ყიფიანი უნდოდა. დიმიტრი უარზე იყო. ბარიატინსკის აუხსნა კიდეც, თუ რისი ეშინოდა. საქმე ის არის, რომ სამეგრელოში რაღაც ორმაგი მმართველობა დამყარდა. ყიფიანს ეშინოდა, ვაი თუ მზრუნველობა, რომელიც მთავრის წარმომადგენელი იქნება, ვერ შეთანხმდება ადმინისტრაციასთან, ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენელთან. მეც მთავრობის კაცი ვარ, ეუბნებოდა დიმიტრი ყიფიანი თავ. ბარიათინსკის და თუ ეს მოხდა ჩემი მდგომარეობა ფრიად უხერხული იქნებაო. ბარიატინსკიმ დაარწმუნა, რომ აქ კონფლიქტი შეუძლებელია. თვით ხელმწიფე უწევს მფარველობას მთავრობას და ხაზინის და მზრუნველობის ინტერესები შეთანხმებულნი არიან. ხოლო თუ არ არიან, მე გაგიწევთ დახმარებას და ჩემი იმედი გქონდეთო. ამასთან მთავრის ცოლიც ემუდარებოდა დიმიტრის, უარს ნუ მეტყვი და სახლს ნუ ჰღუპავო, შენს მეტი გამოსადეგი ამ საქმისთვის სხვა ვინმე არ მეგულებაო. ცარსკოე სელოდამ კნ. ეკატერინე სწერდა დ. ყიფიანს: „ვინც კი გაიგო, გაკვირვებულია, რომ სამეგრელოს მთავარს წმინდა შემოსავალი 277 მ. აქვს. ბარონ ნიკოლაიმ და ძმამ არაფერი შეატყობინეს, თუ როდის წავართვეს ბაზრების, რიონის, ჩარვადრების და ბილეთების შემოსავალიო". დიმიტრი ყიფიანი დასთანხმდა. მაგრამ ადგილზე მისვლისთანავე დარწმუნდა, რომ მას უსაფუძვლო ეჭვები არ ჰქონდა და რომ მზრუნველს მაგარი პოზიცია უნდა სჭეროდა „ოპეკის" ინტერესების დასაცავად. დიმიტრი ყიფიანმა უკან დახევა არ იცოდა. რაკი რომელიმე მოვალეობის ასრულება თავზე იდვა, დაბრკოლებას არ შეუშინდებოდა. და აქაც პირველშივე შეეტაკა გენ. კოლუბაკინს, რომელთანაც კერძო ცხოვრებაში დიდ მეგობრულ განწყობილებაში იყო და შინობითაც ელაპარაკებოდა. სანამ განვაგრძობდეთ ამ შეტაკების ამბავს, საჭიროა რამდენიმე სიტყვის თქმა სამთავროს საქმეებზე.

არეულობა რომ მოხდა სამეგრელოში, მთავრობამ ხელზე დაიხვია ეს გარემოება და, როგორც ვსთქვით, სამეგრელოს საქმეებში ჩარევის შემთხვევა იპოვნა. და იქ საქმე მართლაც აწეწილ-დაწეწილი იყო. ხალხი შფოთავდა უზომო და უსამართლო შევიწროებისაგან. მთავრის ცოლს ეკატერინეს სწერდნენ სანამესტნიკოდან, თქვენს სამთავროში საქმე ისე არის არეულ-დარეული, რომ თქვენი იქ ყოფნა მავნებელიაო. „ყველაფრით დავრწმუნდი, სწერს მოხელე დიუკრიუასი, რომ ვერსად ნახავთ მეტს არეულობას, მაღალი წოდება გარყვნილია და გაუნათლებელია, ხალხი დაჩაგრულია, სიღატაკემდე მიყვანილი, კანონი დავიწყებულია, მოხელენი ბოროტმოქმედებენ და თავიანთ ჯიბის გასასქელებლად ზრუნავენ, ავაზაკობა დაუსჯელი რჩება, საზოგადო საჭიროებაზე არავინ ზრუნავს... ყოველივე ეს მოწმობს, რომ სამეგრელოში ძირითადი ცვლილების მოხდენაა საჭირო მმართველობაში... თქვენი უუგანათლებულობის სურვილია, რომ ამბოხება ჯარმა სძლიოს დ დასაჯოს სასტიკად დამნაშავენი, მაგრამ რუსეთის მთავრობის ღირსება ვერ მოითმენს, რომ ისეთ მმართველებს დაუჭიროს მხარი, რომელნიც ავიწროებდნენ მათ ქვეშ მყოფ ხალხს.. მეტსაც ვიტყვი.. გარემოების უკიდურესობა მაიძულებს გულწრფელად ვთქვა ჩემი აზრი. სამეგრელოს დაშვიდება და იქ წესის დამყარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უუგანათლესობა დასთანხმდება და დროებით მაინც მოშორდება სამეგრელოს.. იმედი მაქვს, რომ თქვენ მიერ დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასწონდასწონავთ, მოვალეობას მის იმპერატორობითი დიდებულების ერთგულ ქვეშევრდომისა და სამეგრელოს მმართველისა, რომელმაც თავის ქვეყნის დასამშვიდებლად მსხვერპლი უნდა მოიტანოს და იზრუნოს თავის შვილების მომავალისათვის. თქვენი უუგანათლებულესობა, ჩაუკვირდება რა ამას, დარწმუნდება, რომ უნდა დაეთანხმოთ ჩემ რჩევას, რომელსაც გაძლევთ, ერთის მხრივ, ჩემზე დაკისრებულ მოვალეობის მიხედვით, მეორეს მხრივ, თქვენდამი და თქვენი სახლისადმი მუდმივ პატივისცემის გულისთვის"... ამ წერილის მიღების რამდენიმე თვის შემდეგ მთავრის ცოლს სწერს თვით ხელმწიფე ალექსანდრე II. წერილში ხელმწიფე მწუხარებას აღნიშნავს სამეგრელოში მომხდარ არეულობის გამო, ადასტურებს ზომებს ნამესტნიკის მიერ მიღებულს და იმ აზრს აღიარებს, რომ სამეგრელოს ხალხის კეთილდღეობა მომავალში იმაზედ იქნება დამოკიდებული, რამდენად საფუძვლიანად განათლებული იქნება მისი მთავარი. „ამიტომ, განაგრძობს იმპერატორი, გეპატიჟებით დროებით პეტერბურგში შვილების აღზრდის გულისათვის. აქ იპოვნით საჭირო პირობებს და თქვენის განათლებულის მეცადინეობით და ცხოველ დედობრივ გრძნობის წყალობით თავად ნიკოლოზს ღირსეულად გაზრდით მის მაღალ მოწოდების ასრულებისათვის. ამ საქმისათვის და თქვენი და თქვენი შვილების ღირსების მიხედვით გინიშნავთ მთავრის სრულ წლოვანებამდე წელიწადში 30 ათასს მანეთს. და ამას მიიღებთ თქვენ, როგორც მოწმობას ჩემის თქვენი სახლისადმი კეთილმოყვარეობისას. სიამოვნებით გარწმუნებთ, რომ მომავალშიც დავშთები თქვენდამი კეთილის მოსურნე." (ხელს აწერს ალექსანდრე). ამ გარემოებათა ძალდატანებით, სამეგრელოს მთავრის ცოლი შვილებით გადასახლდება პეტერბურგში.

ჯერ ხნობით მთავრის უფლებები გაუქმებულნი არ არიან. პატარა ნიკოლოზი იზრდება პეტერბურგში, რათა სრულ წლოვანობაში, ინსტიტუტის მიღების შემდეგ, შეუდგეს სამეგრელოს მმართვას. მთავარს მფარველობას უწევს ხელმწიფე. ხელმწიფის სურვილია, რომ მისი ქონება დაცული იყოს, როგორც ქონება სამეგრელოს მმართველისა. დიმიტრი ყიფიანმაც საქმეს სწორედ ამ თვალით შეხედა. გენერ. კოლუბაკინსა და ყიფიანს შორის გამართულ მიწერ-მოწერას რომ დავაკვირდეთ, ჩვენთვის სავსებით გამოირკვევა როგორც დ. ყიფიანის პოლიტიკური პოზიცია, ისე მთავრობის წარმომადგენლისა. დიმიტრი ყიფიანის აზრით სამეგრელოს საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ორნაირად. ან ხელუხლებელი რჩება სამეგრელოს სამთავროს უფლებანი და მთავარიც სრულწლოვანობის მიღწევის დროს დაიმკვიდრებს მემკვიდრეობით ტახტს. ან კიდევ მთავრის უფლებები მოსპობილი იქნება და მისი ქონება სახელმწიფო ქონებად გახდება. „პირველ შემთხვევაში, სწერს იგი გენ. კოლუბაკინს, მთავარს არ უნდა ჰქონდეს არც ერთი მიზეზი, რომ უსაყვედუროს მის მფარველ მმართველობას, ქონება გამიფლანგეთო. მეორე შემთხვევაში, არც ხაზინას უნდა მიეცეს შემთხვევა ეჭვი შეიტანოს ვისმეზე და დამნაშავენი ეძიოს, თუ რომ დაკარგული ან უკანონოდ მითვისებული აღმოჩნდება ქონება. მაშასადამე, როგორც მზრუნველობას, „ოპეკას", ისე სამეგრელოს მმართველობას (управленіе мингрельское) ერთი და იგივე მიზანი უნდა ჰქონდეთ—მთავრის ქონების და შემოსავლის ხელუხლებლად დაცვა."

მაგრამ სამეგრელოში მისვლისთანავე დ. ყიფიანი რწმუნდებოდა, რომ იქ მოხელეთა წრეში თითქოს უკვე გადაუწყვეტიათ, რომ სამთავრო აღარ არსებობს და რომ ადმინისტრაცია მხოლოდ იმას უნდა ადევნებდეს თვალყურს, რათა მთავრის ქონება დაცული იყოს მხოლოდ როგორც კერძო მემამულის ქონება. გენ. კოლუბაკინი უპასუხებს ყიფიანს: „თქვენი აღმატებულება მხოლოდ ორ გასავალს ჰხედავს სამეგრელოს საკითხის გადასაწყვეტად: ან მთავრის დაბრუნებას, ან მის ქონების სახელმწიფო ქონებად აღიარებას. ჩემის აზრით კი, შესაძლებელია კიდევ მესამე გზაც: ჭკუასთან ახლოა, რომ სამეგრელოს მთავარი, აქ დაბრუნებისას, თავის ნებით აიღებს ხელს სამთავრო უფლებებზე და დარჩება როგორც კერძო მემამულე... ნაადრევად მიმაჩნია ამ ქონების დაცვა, როგორც სახელმწიფო ქონება მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალში იგი შეიძლება ხაზინის ხელში გადავიდეს. მცირე წლოვან მთავრის ქონება ეხლა დაცულია ყოველგვარ კანონიერის ზომებით, როგორც ყოველი კერძო ქონებაა დაცული და სამეგრელოს მმართველობას ამაზე მეტი მზრუნველობის გამოჩენა არ შეუძლია. ამ ორ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი და სურნელოვანი. მაშინვე თავისს სავარძელში გადმოუტანია, მაგრამ ნაყოფი არ გამოუღია.

(შემდეგი იქნება)

ხმა ფოთიდან

(დასასრული *)

მაგრამ საქმეს ვერც ამ ლაპარაკმა უშველა. შუა კაცებმა სთხოვეს ნიკოლაძეს, მეუნარგია გასაშავებელი კაცი არ არის, ის რასაც ჩადის, ჩვენი ქალაქის სიკეთისთვის ჩადისო.

ამ დროს გარემოება გარეგნულად თითქოს შეიცვალა. გამგეობის მესამე წევრი ლ. ყრუაშვილი გარდაიცვალა. ამნაირად უთავო გამგეობას ორი წევრი უნდა აერჩია. ნიკოლაძეს უთხრეს, მეუნარგია დაგვითმე, მეორე წევრი კი ვინც გენებოს, ის მოიწვიეთო. ნიკოლაძის პასუხი აქაც ძველებური იყო: მომხრეთ ჰპირდებოდა, მოწინააღმდეგეთ კი აქეზებდა და ამით თავის პოზიციას უფრო ამაგრებდა. ჩვეულებრივად ნიკოლაძეს ფოთის ხმოსნები სიტყვას კი, არა გულში ნადებ სურვილსაც კი უსრულებდნენ. ამიტომ ნიკოლაძეს ეგონა, როგორც კი იონას წინააღმდეგ წავალ, ხმოსნები იმ წუთში გააშავებენო. მაგრამ იონა არამც თუ იმ წუთში ვერ გააგდეს, პირიქით, მის სასარგებლოდ მუშაობასაც შეუდგნენ. როდესაც ნიკოლაძემ ხმოსნებში ასეთი განწყობილება დაინახა, თითქოს შესცვალა ტაქტიკა და მორიგების გზას დაადგა. ექვს დეკემბერს ხმოსანთა კერძო თათბირზე ნიკოლაძემ დაახლოვებით შემდეგი განაცხადა: ვეძებ, მაგრამ ვერ ვნახე იონაზე უკეთესი კანდიდატიო. ამას გარდა მე და მას შორის, რომ უთანხმოება იყო, ის უკვე მოისპო, მაშასადამე, თავის ადგილზე ის დარჩება, ყრუაშვილის ადგილზე კი, იურიდიულ ფაკულტეტ გათავებულს მასხულიას მოვიწვევ, თუ ნებას მომცემთო. ყველანი ერთხმად დაეთანხმნენ. ეს სათვალთმაქცო ოინი გამოირკვა 11 დეკემბრის სხდომაზე, რომელზედაც ხმოსანმა ქოქუამ განაცხადა, ეს არის ეხლა ბ-ნმა ნიკოლაძემ ტელეფონით მიბრძანა, რადგანაც კანდიდატი მასხულია უწლოვანი გამოდგა, ორსავე არჩევნები უნდა გადაიდოსო. იყვნენ ამის წინააღმდეგნი, მაგრამ კენჭის ყრით 22 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 11 ხმისა არჩევნები ერთის კვირით გადაიდო. ასეთმა ძალთა განწყობილებამ ნიკოლაძეს მეორე დღესვე შეაცვლევინა ფრონტი. 22 ხმამ ის წაათამამა და ისევ პირვანდელ პოზიციას დაუბრუნა ის. შეუდგა ძალთა საბოლოო მობილიზაციას. ნიკოლაძისტთა მებაირაღტრედ მეუნარგიის წინააღმდეგ აშკარად გამოდიოდა ხმოსანი სოლომონ ქოქუა.

თანახმად საბჭოს გადაწყვეტილებისა ერთი კვირის შემდეგ მეუნარგიამ ისევ დანიშნა არჩევნები 19 დეკემბრისთვის. ორი დღის წინედ საბოლოოდ გამოირკვა ნიკოლაძის პოზიცია მან შუა ქუჩაში, ხალხში, დაიყვირა, ან მე ან მეუნარგიაო.

19 დეკემბერს საღამოს გამგეობის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ისმოდა მუქარა. თუ მეუნარგია არ გააშავეთ, გარედ ცოცხალს არ გამოგიშვებთო; ის ნიკოლაძის მტერია, ჩვენი ფოთის დამღუპველიაო. იყვნენ მეუნარგიას მომხრენიც, უმეტესად ინტელიგენტები, მაგრამ კრინტს ვერა სძრავდენ. თვითონ მეუნარგია იშვიათის თავდაჭერილობით, დინჯად იქცეოდა. სხდომა გახსნა. რადგანაც მოწინააღმდეგეთ კანდიდატები მზად არ ჰყავდათ, მოინდომეს არჩევნების გადადება. მომხრეებმა კატეგორიულად განაცხადეს, ჩვენ კანდიდატი გვყავს და არჩევანიც უნდა მოხდესო. დაიწყო კენჭის ყრა. 33 ხმიდან მეუნარგიამ მიიღო 16 თეთრი და 17 შავი... კენჭის ყრა გათავდა, ყველამ თავი ჩაქინდრა რაღაც სირცხვილი დაეტყოთ სახეზე, თითქოს თავი გაიროზგესო.

— 17 შავი და მხოლოდ 16—თეთრი—იყო დინჯი და ენერგიული პასუხი მეუნარგიასი. ასეთის იშვიათის ძალდატანებით მიიღო ბ-ნმა მეუნარგიამ 17 შავი და 16 თეთრი. მარტო ერთი ხმით გაშავდა ფორმალურად, არსებითად კი ხმები ორ ნაწილად გაიყო. მასაც რომ კენჭი ჩაეგდო, რის უფლებაც, კანონის ძალით, ჰქონდა, მაშინ 17 თეთრი და 17 შავი ამოუვიდოდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ნიკოლაძის სამეფოში ყმის მორჩილ ხმოსანთა შორის ვინმე მოახერხებდა მის წინააღმდეგ 17 ხმის შეკრებას? მაგრამ ეტყობა ნიკოლაძეს აქაც ეკარგება გავლენა.

ფოთელი.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 798.

ოსმალეთის მდგომარეობა.

შინაგანმა განხეთქილებამ, რომელიც კარგა ხანია აშფოთებს ოსმალეთის ცხოვრებას, კვლავ მწვავედ იჩინა თავი. წარსული წლის ზაფხულში სასტიკად დამარცხებულმა „ახალგაზდა ოსმალებმა“ სამაგიერო მიუზღეს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ლიბერალურმა პარტიამ ჯარის დახმარებით დაამხო საიდ-ფაშის სამინისტრო და „ახალგაზდა ოსმალთა“ უმრავლესობისაგან შემდგარი პარლამენტი გარეკა, ცხადი იყო, რომ ლიბერალების ბატონობა ხანგრძლივი ვერ იქნებოდა, რადგან „ახალგაზდა ოსმალები“ ჯერე ადვილად არ დაუთმობდნენ უპირატესობას თავის პოლიტიკურ მტრებს. მაშინვე ისმოდა მუქარა „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტისა. მაგრამ რადგან ოსმალეთის შინაგანი და გარეგანი მდგომარეობა მაშინ მეტად აწეწილი იყო ალბანეთის ამბოხებისა და იტალიის ომის გამო, „ახალგაზდა ოსმალები“ დროებით დამშვიდდნენ, უხმოდ ჩაიხვიეს გულში დამარცხების განუქარვებელი ბოღმა და ელოდნენ შესაფერ დროს სამაგიეროს გადასახდელად. ამასობაში ბალკანეთის ომმაც უსწრო და, როგორც ყველგან ხდება ხოლმე, საჭირო შეიქმნა პარტიათა შორის ატეხილი უთანხმოების დავიწყება საერთო მტრის მოსაგერიებლად, თუმცა „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის ხელმძღვანელები თავიდანვე უკმაყოფილო თვალით უცქეროდნენ მუხტარ-ფაშისა და შემდეგ კი ქიამილ-ფაშის მოქმედებას, რომელთაც თითქმის განდევნეს ჯარიდან „ახალგაზდა ოსმალების“ წევრი—აფიცრები; როდესაც ოსმალეთის ჯარს ზედმა სასტიკი დამარცხება არგუნა, მაშინ აშკარად აღიმაღლეს ხმა უკმაყოფილო ელემენტებმა და სამშობლო ქვეყნის უბედურების მიზეზად ლიბერალების მოქმედება და პოლიტიკა აღიარეს. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის მეთაურებს, რომელნიც პარტიული შუღლით იყვნენ დაბრმავებული, ავიწყდებოდათ ის ცხადი გარემოება, რომ თუ ოსმალეთის დამარცხებაში რომელიმე პოლიტიკურ პარტიას დანაშაული მიუძღოდა, ყველაზე უფრო ისევ „ახალგაზდა ოსმალებს“, რადგან სწორედ მათგან იყო ოსმალეთის ჯარი გაწვრთნილი და „ჯეროვანად მომზადებული“. 1908 წლ. „რევოლუცია“ კომიტეტის მხედრობის საქმე იყო და მისი მთავარი მიზანიც ოსმალეთის გაძლიერება, როგორც სამხედრო სახელმწიფოსი. ამ მიზანს შესწირეს მათ ქვეყნის ნამდვილი ინტერესები. მათ მოიწადინეს ოსმალეთის წარსული სამხედრო დიდების აღდგენა, რისთვისაც არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ. ოსმალეთის ხალხი, სოფლის გლეხობა, „რევოლუციის“ გარეშე დარჩა, მას არ სწევია მოძრაობის გამაცოცხლებელი ტალღა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, 1908 წლის ამბოხება ერთი მუჭა მხედრობის საქმე იყო, რომელიც სათავეში მოექცა მართველობას და თვისი ვიწრო პარტიული შეხედულება ქვეყნის სურვილ-მისწრაფებად გამოაცხადა. ხალხის ჭეშმარიტ კანონმდებლობის მაგიერ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტი თავის საიდუმლო დადგენილებათ უკარნახებდა ახალგაზრდა პარლამენტს, რომელიც ყურმოჭრილი ყმა და მონა შეიქმნა მეამბოხე მხედრობისა. „ახალგაზდა ოსმალთა“ ოთხი წლის ბატონობის განმავლობაში ოსმალეთის პარლამენტმა ვერ შექმნა ვერც ერთი კანონი, რომელიც ხალხის კეთილდღეობისკენ ყოფილიყო მიმართული. მთელი შემოსავალი სახელმწიფოისა იმ მიზნით იყო ნახმარი, რათა შეექმნათ ერთი მთლიანი „ოსმალთა“ იმპერია, რომელიც თავის ძლიერებას დაუპირდაპირებდა გარეშე მტერს და სიკვდილისაგან იხსნიდა მას, ვისაც ევროპა „ავადმყოფ ადამიანს“ ეძახდა. მილიტარიზმის ქურაში ნაწრთობი ძლიერი ოსმალეთი აი მიზანი და მისწრაფება „ახალგაზდა ოსმალთა“ პარტიისა. ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთი არ წარმოადგენს ერთს ეროვნულ მთლიანს, მეტადრე არ წარმოადგენდა იგი ასეთ რამეს იმ დროს ე. ი. 1908 წელს. ოსმალეთის იმპერიაში ოსმალები პატარა უმცირესობას შეადგენენ, რომელიც სამხედრო მძლეობით განაგებდა და განაგებს დღესაც სხვა და სხვა ეროვნებით აჭრელებულ ქვეყანას. „ახალგაზდა ოსმალებმა“ ანგარიში არ გაუწიეს ასეთ მდგომარეობას. მათ მოინდომეს ერთი მთლიანი „ოსმალო“ ერის შექმნა, რაც სრული აბსურდი და განუხორციელებელი რამ იყო. რას მიქვიან მაკედონია, ალბანეთი, არაბეთი და სომხეთი? არაზომიერევით ჰკითხულობდნენ „განათავისუფლებელი“ „კომიტეტლები“. უნდა იყოს მხოლოდ ერთი ძლიერი დ განუყოფელი ოსმალეთი. და როდესაც მაკედონია, ალბანეთი და არაბეთი არ დაკმაყოფილდა „კომიტეტის“ განკარგულებით და თავისუფალი ეროვნული ცხოვრება მოისურვა, „განმათავისუფლებელი“ ჯარის რაზმები ხიშტ-მოღერებით მიესივნენ მათ დ სისხლის ტბები დააყენეს. მაგრამ დადგა განკითხვის დღეც. ბალკანეთის ომმა იმავე საწყაოთი მიუზღო გათამამებულ „კომიტეტლებს“, მაგრამ, ვაი რომ, მათმა ბეცობამ ამდენი უდანაშაულო მსხვერპლი შეიწირა, როგორც ერთისა, ისე მეორეს მხრით. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის მეთაურებს ვერც ამ მწარე გაკვეთილმა ასწავლა ჭკუა. სამშობლო უბედურების მიზეზს იგინი მისი ცხოვრების სიღრმეში კი არ ეძებენ, არამედ გენერალებისა და ჯარის ხელმძღვანელების უნიჭობაში. მათი აზრით, კირკილისესა და კუმანოვოსთან დამარცხდა არა ოსმალეთის ძირ-მომპალი სამხედრო დესპოტია, არამედ ლიბერალების სამინისტრო ქიამილ-ფაშისა და ნაზიმ-ფაშის სახით. და აი მათი პასუხიც: ქიამილ-ფაშის სამინისტრო ამბოხებით ჩამოაგდეს, ხოლო ჯარის მთავარ-სარდალი ნაზიმ-ფაშა მოჰკლეს. ერთი მუჭა მეამბოხე მხედრობა კვლავ სათავეში მოექცა სისხლისაგან დალილს, უბედურ ქვეყანას და თვისი ჭირის დასაკმაყოფილებლად კვლავ ახალ საშინელებას უქადის მას. ამბოხების უახლოესი მიზანი რევანშია, ე. ი. ომის განახლება. „ახალგაზდა ოსმალები“ ვერაოდეს ვერ შეურიგდებიან მაკედონიისა და რუმელიის დაკარგვას, რომელიც პირდაპირი რისხვაა მათი იდეალის, „ძლიერი და მთლიანი ოსმალეთისათვის“. ვერც მოკავშირეები შეელევიან იარაღით დაპყრობილ ადგილებს. მაშასადამე, ისევ ომი და მისგან გამოწვეული საშინელებანი: სიმშილი და სხვა და სხვა გადამდები სენი. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტი თავის მოქმედებას იმით გაამართლებს, რომ ხალხს, ქვეყანას ასე სურსო, მაგრამ დადგება დრო, ლიბერალების მომხრე ჯარი ძალას მოიკრებს და იმავე საშუალებას მიმართავს, როგორსაც „კომიტეტი“. იგიც ხალხის სახელით იქნება აღჭურვილი. ნამდვილი ხალხი კი, რიგი რომ საომარ ასპარეზზე იხოცება, რიგი წყევა-კრულვას უთვლის მათ, ვინც თვისი პოლიტიკური ბეცობით ასეთ საშინელ ყოფაში ჩააგდო ქვეყანა.

კოლხი.

ამბოხება ოსმალეთში

დეპეშები

ბერლინი. ვოლფის ტელეგრაფით ატყობინებენ, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომც ენვერ-ბეიმ გერმანიის ელჩი, ქიამილ-ფაშას კაბინეტის დამხობის შემდეგ ინახულა.

სტამბოლი. კომიტეტის მოწინააღმდეგე ორი ოფიცერი მოკლულია. სამხედრო სასწავლებელში სისხლის მღვრელი შეტაკება მოუხდათ კომიტეტის მომხრე კადეტებს და სამხედრო ლიგის მომხრეებს.

ჩათალჯაში შეტაკება მოუხდათ ნაზიმ-ფაშას მომხრეებს და ჯარის ერთ ნაწილს. დაჭრილია 50 კაცი.

გაზეთებიდან

ახალი დიდი ვეზირი.

ახალმა დიდმა ვეზირმა ტელეგრამით შეატყობინა ოსმალეთის რწმუნებულს რეშიდ-ფაშას ლონდონში, რომ მთავრობა გადაჭრილ უარს ამბობს ყოველგვარ ტერიტორიალურ დათმობაზეო. ქიამილ-ფაშა ინგლისის საელჩოში დაიმალა. ამბობენ, რომ რუსეთის ელჩი გირსი ხვალ ულტიმატუმს წარუდგენს ოსმალეთის მთავრობასო. სახელმწიფოების გემთა მეზღვაურები კვლავ სტამბოლის სანაპიროებზე გადმოვიდნენ.

უცნაური ხმა.

სოფიიდან და ბერლინიდან იუწყებიან, რომ რუსეთის შავი ზღვის 11 სამხედრო გემი ბოსფორის სრუტეს მიადგაო.

სულთანისა და ყოფილ სულთანის შერიგება.

ვენიდან ცნობაა, რომ ოსმალეთის ახლანდელი სულთანი და აბდულ-ჰამიდი შერიგდნენო.

მინისტრების დატუსაღება.

ქიამილ-ფაშის კაბინეტის მინისტრები პორტას სადგომში იმყოფებიან და გამოსვლას ვერ ჰბედვენ. არავინ იცის, რას უქადიან მათ „ახალგაზდა ოსმალები“. სტამბოლისა და მთავრობის დასაცავად ქიამილ-ფაშის განკარგულებაში 16 ბატალიონი ქვეითი ჯარი და სამი როტა ტყვიის მფრქვეველი იყო, მაგრამ მათი გამოწვევა შეუძლებელი გახდა, რადგან ტელეფონი და ტელეგრაფი „ახალგაზდა ოსმალებს“ ადრევე ჩაეგდოთ ხელში. გარდა ამისა, ჯარის ის ნაწილი, რომელიც, მეამბოხეთა აზრით, მთავრობის ერთგული უნდა ყოფილიყო, სამი დღის წინად გაიგზავნა საიდუმლოდ ქალაქს გარედ.

ამბოხების მსხვერპლნი.

სამხედრო მინისტრ, ნაზიმ-ფაშას გარდა მოკლულნი არიან: ქებრიზლი; თეფიქ-ბეი; ნაზიმ-ფაშის ადიუტანტი მუსტაფა და „ახალგაზდა ოსმალო“ ნეჯიბი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

16 იანვარი.

ომის მოლოდინში.

სტამბოლი. მეომართა წრეში ირწმუნებიან, რომ თუ მოკავშირე სახელმწიფონი ეგეის კუნძულსა და ადრიანოპოლის დათმობას კვლავ მოითხოვენ, ომი აუცილებლად განახლდებაო. როგორც ამბობენ, საომარ მოქმედების გეგმა შემდეგია: იერიშს მიიტანენ ორი მხრით — გალიპოპოლიდან და ჩათალჯიდან. გალიპოპოლში შეკრებილ ჯარის რიცხვი 80,000-ზე მეტია. თუმცა ამბოხების შემდეგ გარეგნული მშვიდობიანობა დამყარდა, მაგრამ ნაზიმ-ფაშას მომხრენი ფარულ აგიტაციას ეწევიან. შესაძლებელია საქმის ვითარება გართულდეს.

ლონდონი. მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგატებმა ოსმალეთის დელეგატებს გადასცეს ნოტა და თანაც სიტყვიერად განაცხადეს, რომ მოლაპარაკება შეწყვეტილიაო.

სტამბოლი. ოსმალებს და ბერძნებს იანინთან შეტაკება მოუხდათ. ბერძენთა ორი ბატალიონი დამარცხდა.

ლონდონი. მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგატებმა მოლაპარაკების შეწყვეტის ნოტა რეშიდ-ფაშას გადასცეს. ნოტის შინაარსი შემდეგია: „მოკავშირე დელეგატები სამშვიდობო კონფერენციის შეწყვეტის შემდეგ სამი კვირა სრულიად ამაოდ ელოდნენ ოსმალეთის დელეგატების პასუხს. სტამბოლში მომხდარმა ამბავმა და უკანასკნელმა წინადადებამ ზავი

და სხვა აზრიდან დაიბადა დიდი უთანხმოება „მზრუნველობისა“ და სამეგრელოს მმართველობის შუა. კონფლიქტი აუცილებელი იყო. თუ სამთავრო არსებობს, მისი წესი დ უფლებანიც უნდა პატივდებულ იქმნენ. ხოლო თუ ამ პატივდებას მას აკლებენ, სამთავროც გაუქმებული ყოფილა. გაუქმებული კი იყო კანონიერად? არა. მაშ თუ კანონიერად იგი ჯერ უარყოფილი არა არის, იმისი უარმყოფელნი თვითნებობას ჩადიან და უკანონობას აწესებენ. ეს აზრი გამოირკვა დიმ. ყიფიანისთვის და იგი მხურვალედ, როგორადაც ეს მის მთლიან და გაბედულ პიროვნებას შეეფერებოდა, კანონიერების დარაჯად დადგა. კანონისა და ლოღიკის მოთხოვნილების მიხედვით მისი პოზიცია შეურყეველი იყო, ხოლო ობიექტიურად რომ შევხედოთ საქმეს, იგი გამოვიდა მცველად ძველ სოციალურის წესისა, რომელმაც გამოიწვია სამეგრელოს გლეხთა არეულობა: რაკი მთავრის უფლებებს იცავდა, როგორც სამეგრელოს სამთავროსი, არ შეეძლო არ დაეცა სოციალური წესიც ამ სამთავროში გაბატონებული. ამ კონფლიქტის ისტორია ფრიად საყურადღებოა.

გენ. კოლუბაკინი სწერდა: „სასოფლო პოლიციის მსახურებთან „ოპეკას“ არავითარი დამოკიდებულობა არ უნდა ჰქონდეს. ამ პოლიციელთა არჩევას, დამტკიცების და დათხოვნის საქმეში არ უნდა ერეოდეს. თუ პოლიცია გავანთავისუფლეთ მთავრის მამულში საქმეების გარჩევის მოვალეობიდამ და „ოპეკას“ მიერ დანიშნულ პირების ხელიდან გამოვიყვანეთ, ეს წინააღმდეგი იქნება უმაღლესად დამტკიცებულ სამეგრელოს მმართველობის დებულების და აგრეთვე სამეგრელოს გლეხთა ყოფაცხოვრებასაც არ შეესაბამება. სამეგრელოში მემამულეთ პოლიციური უფლებები არას დროს არ ჰქონიათ და ისინი არ ჰგრძნობდნენ იმ პასუხის მგებელობას, რომელიც დაკავშირებულია ამ უფლების განხორციელებასთან. გლეხი ბატონს მხოლოდ განსაზღვრულ ხარჯს აძლევდა და ბატონი აღარ შედიოდა გლეხის ზნეობის და მატერიალურ მდგომარეობის გამოძიებაში. თანახმად ამისა სამთავროს მამულებშიაც მოხელეთა მოქმედება ისაზღვრებოდა ხარჯების აკრეფით და სამუშაოს განწესებით. ამ მოხელეთა თვითნებობა და ბოროტმოქმედება უმთავრესი მიზეზი იყო გლეხთა არეულობისა სამეგრელოში. ამიტომ მშვიდობიანობის დაცვის გულისათვის საჭიროდ დაინახეს ამ მოხელეთა მოქმედების თვალყურის დევნა ჩაებარებინათ ადგილობრივ პოლიციის უფროსებს“. რას იტყვით ამის წინააღმდეგ? მართალია, კოლუბაკინს სწორე წარმოდგენა არა ჰქონდა საქართველოში არსებულ ბატონყმობის ხასიათის შესახებ. მას სრულიად დაავიწყდა ფეოდალური სტრუქტურა ბატონ-ყმობის ინსტიტუტისა, რომელიც არსებობდა ჩვენში. მაგრამ ასეცა რომ ყოფილიყო გლეხთა და მემამულეთა ურთიერთობა, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა გენ. კოლუბაკინს, სამთავროს საზღვრებში ამ კრიტერიუმს ძალა სრულიად ეკარგებოდა. მთავარი რის მთავარია, თუ კი სასამართლო და ადმინისტრაცია მის გავლენას და ძალას არ ექვემდებარება. ისტორიული დასაბუთება კოლუბაკინისა სუსტია. მაგრამ იმავ ობიექტიურის სოციალურის საზომით რომ გავზომოთ საგანი, მას თითქოს გასამართლებელი საბუთი ეძლეოდა ხელში სამთავროს წესებს რომ ანგარიშს არ უწევდა. მისი „უკანონობა“ თითქოს ლიბერალურის მოსაზრებით იყო გამოწვეული. მართალია, ჩვენ არა გვჯერა, მთავრობის აგენტების ლიბერალიზმის გულწრფელობა, ხოლო ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობისთვის იმ ხანებში სასარგებლო იყო ეს პოზიცია. ხოლო დიმიტრი ყიფიანი ამ ხასიათის კომპრომისს ვერ ურიგდებოდა, მით უმეტეს, რომ მის თვალში მზრუნველობა იმგვარ წესებს იცავდა, რომელნიც სასარგებლონი იყვნენ ხალხის კეთილდღეობისათვის.

რაკი კოლუბაკინს ვერ მოურიგდა, ქუთაისის გენ.-გუბერნატორს, თ. რომან გიორგის ძე ერისთავს დაეკითხა, სცნობთ თუ არა კანონიერად, რომ „მზრუნველობამ“ მოახდინოს მთავრის სოფლებში სასოფლო მმართველობის ამორჩევა და მან დაადასტუროს არჩეულ მოხელეთა კანონიერება? თ. ერისთავი ყიფიანის აზრს დაეთანხმა და შემოუთვალა, დაუბრკოლებლივ შეგიძლიან შეუდგე არჩევნების საქმესო. დ. ყიფიანმაც კოლუბაკინს აღარა ჰკითხა, შეატყობინა მხოლოდ ოფიციალური ნებართვა მომივიდაო და შეუდგა საქმეს. მაგრამ პირველისავე ნაბიჯზე სასტიკ წინააღმდეგობას შეეჯახა. სამეგრელოს მმართველობის მოხელენი, მაზრის უფროსნი არ იწყნარებდნენ „მზრუნველობის“ მიერ დადასტურებულ არჩევნებს და დიმიტრი ყიფიანის ცდა და შრომა დამარცხებით დაგვირგვინდა. შეატყობინა გენერალ-გუბერნატორს. თ. ერისთავმა კერძო წერილი მოსწერა, კოლუბაკინის საქციელს ვკიცხავო, მაგრამ გირჩევ დროებით ნუ წამოდგები, ქუთაისში მოდი. იქ ნამესტნიკს მოველი, ყოველივე მოვახსენოთ და იმედია სავსებით იქნები დაკმაყოფილებულიო. მაგრამ ნამესტნიკი დროზედ აღარ მივიდა ქუთაისში. დიმიტრი ყიფიანის მდგომარეობა კი აუტანელი ხდებოდა. როგორ, ამბობდა ის, ნამესტნიკის საბჭოს წევრი თ. დადიანის ხარჯის ამკრეფად უნდა გახადონ? თუ ასეა საქმე, მე აქ დამდგომი არა ვარ და გამობრუნდა ტფილისში. აქ თ. ბარიატინსკის დახმარების იმედი ჰქონდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბარიატინსკი კოლუბაკინის მხარეზე იყო დ. თ. ერისთავის (ქუთაისის გენ.-გუბერნატორის) და ყიფიანის პოლიტიკას ჰკიცხავდა. თ. ერისთავმა ამის გამო სამსახურს დაანება თავი. ყიფიანს კი ნება არ მისცეს მზრუნველის თანამდებობისათვის ხელი აელო.

— თქვენო ბრწყინვალება, მივუბრუნდი თ. ბარიატინსკის, ვკითხულობთ დ. ყიფიანის „მოგონებებში“. თქვენი გადაწყვეტილების შემდეგ მე აღარა მესმის რა ჩემი მოვალეობისა. და რაკი აღარ მესმის, რაშია ჩემი მოვალეობა, ვერც ავასრულებ მას ამიტომ ნება უნდა მომცეთ მზრუნველობას თავი დავანებო.

— ვიცოდი, რომ ასე იქნება. მაგრამ, გთხოვთ ამ ჟამად ნუ იზამთ ამას. ერთი წლის, ან 8 თვის შემდეგ შეგიძლიანთ.

— ამ ხნის განმავლობაში კი კნეინა, რომელსაც ვითომ ვპატრონობ, საბოლოვოდ დაიქსაქსება და პასუხის მგებელი ხომ მარტო მე ვიქნები, როგორც ღმერთისა, კანონისა ისე ჩემი შვილების წინაშე. ნება მიბოძეთ კნეინას შევატყობინო მაინც ყოველივე. როგორც მზრუნველი მას ვექვემდებარები“.

ამის ნება მისცა ბარიატინსკიმ. მისწერა კნ. ეკატერინეს. და მალე პეტერბურგშიაც დაიბარეს. ხოლო პეტერბურგში წასვლამდე დ. ყიფიანმა დასწერა დასაბუთებული მოხსენება, სადაც შეეცადა თავისი პოზიციის გამართლებას. რათა ეს საკითხი სავსებით გამოირკვეს ჩვენთვის, ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ამ მოხსენების შესახებაც. როგორც ვიცით, კამათი დატრიალდა მთავრის უფლებების გარშემო. ამ უფლებების განუსაზღვრელობა იყო მიზეზი შეტაკებისა ყიფიანსა და კოლუბაკინს შორის. მოხსენებაში დ. ყიფიანი, სხვათა შორის, ამბობს: „ყოველივეს, რაც მთავარს ეკუთვნი, ხალხი სახასოს, საზინოს ეძახის, უძრავი ქონება, რომელსაც არა ჰფლობენ კერძო მესაკუთრენი, **სახასოა**, ან სამთავრო, სადადიანო და ყველა ამ სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. გლეხები განსაზღვრულ გადასახადს იხდიდნენ სახასოდ, საზინაში. ვისაც კერძო მემამულისაგან განთავისუფლება უნდოდა, თავისუფლებას სახასოდ დაიქებდნენ და [illegible] თავს უწოდებდნენ სახასო, სამთავრო, სადადიანო გლეხებს. პირიქით, ისინი, ვინც ეკუთვნოდნენ ეკლესიას, თ. დადიანებს, მთავრის დ ნათესავებს მეგვარეებს, არა მთავრის სახლობის წევრებს, აგრეთვე კერძო მესაკუთრეებს, თავადებს და აზნაურებს—ეძახიან საეკლესიო, საბატონიშვილო და საბატონო გლეხებს. აი რატომაც სამეგრელოს, მთავრის მამულს შეეხება ამ ჟამად, არ ვხედავ კერძოდ სახელმწიფო საკუთრების შესახებ განსხვავებას და ამიტომ, სანამ უმაღლესად დაწესებულ მოვალეობას ვასრულებ და ვგანაგებ მთავრის ქონებას და სანამ მთავრის მოქალაქობრივი უფლებანი უმაღლესად დამტკიცებულ საზღვრებში რჩება, ჩემ მოვალეობად ვსთვლი ყოველივე ამას უპატრონო მზრუნველის უფლებით. მთავრის უფლებების და ინტერესების დაცვის საკითხში კი შესაძლებლად მიმაჩნია ერთმანეთში არ ვურიო უფლება თ. ნიკოლოზ დადიანისა, როგორც კერძო პირისა და უფლება მისი, როგორც სამეგრელოს მთავრისა“.

პეტერბურგში წამოსვლას მთავრის ცოლი კნ. ეკატერინეც აშურებდა. იგი სწერდა დ. ყიფიანს: „გთხოვთ, დააშუროთ თქვენი წამოსვლა... გზის ხარჯი, რასაკვირველია, ჩემი იქნება... არ შეიძლება რომ არ მოხვიდეთ, ჩვენი საქმე დაიღუპება. რა დროს ეკონომიის გაწევაა? რამდენიც დაგჭირდეთ ფული, „ოპეკიდამ“ ისარგებლეთ, თავს ნურაფერში ნუ შეივიწროვებთ. ოღონდ აქ მშვიდობიანად მობძანდეთ გულით მოუთმენლად. დიმიტრი ყიფიანსაც აღარ დაუგვიანებია. ძლიერ იყო აღშფოთებული და სურვილი ჰქონდა თავი ემართლებინა უმაღლეს წრეებში. აი რასა სწერდა პეტერბურგიდამ თავის ცოლს: „ერთმა დიდმა და გავლენიანმა პირმა, რომელსაც აუხსენი საქმის მდგომარეობა, მითხრა, რომ „ოპეკუნობას“ თავი არ უნდა დავანებო. ამაზე გადაჭრით ვუპასუხე, რომ თუ საქმე ჩემი რწმენის წინააღმდეგ დაბოლოვდა, არამც თუ მზრუნველის თანამდებობას, არამედ სახელმწიფო სამსახურსაც თავს დავანებებ. რატომ, მეკითხებიან? იმიტომ რომ დღემდე ჩემს სახელს პატივცემით იხსენიებდნენ ამიერ-კავკასიაში. თუ დავბრუნდი გაუმართლებელი, ჩემსავე ხელით ჩირქს მოვცხებ ჩემს სახელს. პატიოსანი სახელის მეტს სხვას ვერაფერს დაუტოვებ ჩემს შვილებს. და სანამ ეს ჩემს ხელშია ამ სახელს არ გავცვლი ჯამაგირში, ჯილდოებში და ორდენებში. ამის შემდეგ მითხრეს, რომ საქმე უსათუოდ კარგად დაბოლოვდება, ისე გათავდება, როგორც ჰსურს კნეინასო. „ცოლი სწერდა, ამბობენ იქ გაძლევენ სამსახურსო. დიმიტრი უპასუხებდა: „ათასჯერ გეუბნები, არას დროს არა მქონდა და არც ეხლა მაქვს სურვილი ტფილისს გარედ ვმსახურებდე. თუ ჩემს სამსახურს სარგებ-

შეუძლებლად ჰყვეს; ამის გამო ბალკანეთის დელეგატნი, სამწუხაროდ, იძულებულნი არიან მოლაპარაკება შესწყვიტონ“.

უცხოეთი

სპარსეთის პრინცის დაკარგვა.

11 იანვარს, ღამე პეტერბურგში მცხოვრები სპარსეთის პრინცი შაეს-სალთანე პეტერბურგიდან სადღაც მიიმალა. როგორც სპარსეთის საქმეების კარგი მცოდნენი ამბობენ, ეს ახალი ნაბიჯია პრინცისა სპარსეთში მონარქიზმის აღსადგენად. სპარსელმა მონარქისტებმა ამ ცოტა ხანში, პეტერბურგში საიდუმლო კონფერენცია მოახდინეს და დაადგინეს წინააღმდეგობა გაუწიონ ბაქტიართა და სპარსეთის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადონ ერთ-ერთი ძმა მაჰმედ-ალისა. პრეტენდენტად აირჩიეს შა-ეს-სალთანე. პრინცმა სააგენტოს ცნობით გაიგო, რომ მისი უმცროსი ძმა სალარ-უდ-დოულე, რომელიც წელიწად-ნახევარია ემშვიდობა თეირნის ეხლანდელ მთავრობას, შეწყნარებულ იქნა და თეირანში პატივისცემით მიიღეს. როგორც გამოირკვა, სპარსეთის ტახტის კანდიდატად გამოაცხადეს შა-ეს-სალთანეს უმცროსი ძმა სალარ-უდ-დოულე. ამბობენ, პრინცი ოდესას გაემგზავრა, სადაც ინახულებს შაჰად ნამყოფ მაჰმედ-ალის და აღადგენს სპარსეთის ტახტზე ასვლის უფლებასო.

რუსეთი

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

რუსეთის გაზეთების სიტყვით, მოსკოვის გუბერნატორი გენერალი ვ. ფ. ჯუნკოვსკი ინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად. როგორც ამბობენ, ჯუნკოვსკის ის უპირატესობა ექნება, რომლითაც სარგებლობდა ამავე თანამდებობაზე ტრეპოვი. ტრეპოვი მინისტრის ამხანაგადაც იყო და იმავე დროს მთელი იმპერიის პოლიციის გამგედაც. ჯუნკოვსკი ამასთანავე იქნება ჟანდარმთა შეფად.

„გოლოს მოსკვის“ სიტყვით, ჯუნკოვსკის დანიშვნა უკვე გადაწყვეტილია.

გენ. კურლოვის დანიშვნა.

როგორც იუწყებიან, გენ. კურლოვი, რომლის საქმეც სტოლიპინის მკვლელობის გამო სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტმა მოსპო, ინიშნება გარდაცვალებულ გენ. თუმანიშვილის თანამდებობაზე. კურლოვს თავისი რეპუტაცია სავსებით აღუდგენია.

როგორც გვაცნობებენ, ახლად დანიშნული შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენ. ჯუნკოვსკი 6 თებერვალს შეუდგება თავისი თანამდებობის აღსრულებას.

მუშები და დაზღვევის კანონები.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო განყოფილების გამგემ ლიტვინოვ-ფალინსკიმ მიჰმართა პეტერბურგის ქალაქის უფროსს, ნება დართოს მუშებს საჯარო ლექციები მოისმინონ და განიხილონ დაზღვევის კანონები.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

16 იანვარი.

საზღვარ-გარედ

ლონდონი. პარლამენტის წინ შეჯგუფდა 20 სუფრაჟისტი. მათ მოითხოვეს ლოიდ ჯორჯის ნახვა. უკანასკნელმა უარი განაცხადა. სუფრაჟისტი ქალები მაინც არ იშლებოდნენ. პოლიციას და მათ შეტაკება მოუხდათ. რამდენიმე ქალი, მათ შორის დრუმონდი, შეპყრობილია.

ტოკიო. 11 თებერვალს იაპონიის კონსტიტუციის 25 წლის თავი სრულდება.

რუსეთი.

პეტერბურგი. ოფიციალი ცნობით, ტყუილია ხმები, ვითომც გენერალი კურლოვი განაპირა ქვეყნის ერთ-ერთ რაიონის გენერალ-გუბერნატორად ინიშნებაო.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

ლობის მოტანა შეუძლიან, უწინარეს ყოვლის ჩემს სამშობლოსთვის მინდა ვიყო სასარგებლო. მაგრამ ყოველივე ჩვენს ხელში არ არის. ბევრი რამ, უკეთ ვსთქვათ, მთელი ჩვენი სიცოცხლე ღმერთის ხელშია. მაშ მის საქმეებში ნუ გავერევით“. ბოლოს, როგორც იყო, დიდის ლოდინის და მეცადინეობის შემდეგ „ოპეკის“ საქმეც გამოირკვა. დ. ყიფიანი აღტაცებული და გახარებული სწერს თავის ცოლს: „მადლობა ღმერთს, ჩვენი საქმე საუკეთესოდ დაბოლოვდა, ისე როგორც არავინ მოელოდა, არავინ ოცნებობდა. და მე, ღვთის შეწევნით, 7 დღის შემდეგ წარმოსვლას ვაპირებ... გუშინ გავიგეთ გადაწყვეტილება, და დღეს უკვე ოფიციალური ქაღალდი მოგვივიდა, დიდად ვართ აღელვებულნი, რადგან გადაწყვეტილება გვახარებს და გვამხნევებს. მადლობა ღმერთს. მართალი საქმე არ დაიღუპა და დამიფარა და არ მომანანიებინა, რომ მის გულისთვის სინიდისის და რწმენის თანახმად ობლებს გამოვექომაგე. უმაღლესს მმართველთა სამართლიანობაში ეჭვი არას დროს არა მქონდა. მაგრამ არ მოველოდი ასეთ ერთსულოვან გამოსარჩლებას, როგორადაც გამოესარჩლნენ კნეინას. ეხლა აქ მარტო ამაზეა ლაპარაკი. ერთმანეთს ულოცავენ, განსაკუთრებით მე მილოცავენ“.

ამაყი და გამარჯვებული დაბრუნდა დ. ყიფიანი ტფილისში. თავის „მოგონებებში“ დიმიტრი სწერს: „1861 აპრილში გამოქვეყნდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი კავკასიის კომიტეტისა, რის ძალითაც აღდგენილ იქმნენ შერყეული ქონებრივი უფლებები სამეგრელოს მთავრისა, ხოლო თ. ბარიატინსკის მიერ მოწონებული მოქმედება ადგილობრივი ადმინისტრაციისა გადაჭრით უარყოფილ იქმნა. თ. ბარიატინსკის განსაკუთრებული პატივი დამდო, რომ ჩემ გავლენას მიაწერა ამგვარ გადაწყვეტილების გამოტანა და საზღვარ გარეთიდამ ტფილისში მოწერა ბძანება: ამის შემდეგ ჩემი საბჭოს წევრად ველარ დარჩება ყიფიანი. მოახსენეთ თ. გრიგოლ ორბელიანს, რომ მის ადგილზე სტარიცკი დაინიშნოს. ასე დამთავრდა, დასძენს დიმიტრი, 1862 წელს ჩემი სახელმწიფო სამსახურიო“.

ერთი პატარა ნაქვთიც. როდესაც ყოველივე გამოირკვა, დიმიტრი ყიფიანი სწერს გენ. კოლიუბაკინს, რომელთანაც, როგორც ვსთქვით, მეგობრულ განწყობილებაში იყო: „მომხდარ ამბების შემდეგ ჩემს ფოტოგრაფიულ სურათს თქვენთან ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს, არც თქვენს სურათს ჩემთან. კარგი იქნება, თუ თქვენც კეთილს ინებებთ და ერთმანეთს შეუცვალეთ პორტრეტები, როგორც კი მივიღებ ჩემსას, პირველისავე პოსტით გამოგიგზავნით თქვენ სურათსო“. კოლიუბაკინიც უპასუხებს: „თქვენი სურათს, თანხმად თქვენის აღმატებულების სურვილისა, გიგზავნით“. დიმიტრი კიდევ სწერს: „თ. დიმიტრი გურიელმა, თქვენ წერილთან ერთად, პორტრეტიც მომიტანა. გიბრუნებთ მის ხელით თქვენსას, რომელსაც ვშორდები გულის ტკენით“.

დ. ყიფიანი სამსახურს თავს ანებებს. მაგრამ ეს გარემოება აღარ აწუხებდა. მისი აზრი, რწმენა, სოფლმხედველობა გამარჯვებული იყო. მოხელეებთან ბრძოლაში უმაღლესმა მთავრობამ მისცა მხარი. თავის თავს დამარცხებულად აღარ გრძნობს დიმიტრი და მხიარულის გულით და გამხნევებულის იმედებით შესცქერის მომავალს. მომავალმაც მალე გაუღიმა. 1864 წელს თავად-აზნაურობამ წინამძღოლად აირჩია. და ეხლა საჭიროა გავეცნოთ იმას, თუ რა პირობებში მოხდა დ. ყიფიანის არჩევა.

(შემდეგი იქნება)

არჩილ ჯორჯაძე.

განცხადებანი

თმის
საღებავი
კაკლის ექსტრაქტისა.
თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.
პარფ. № 4711. თევდ. მიულგანსი, მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი და რ●რიგა.
დაარს. 1792 წ.



ფასი 1 ფლაკ. [illegible] დიდი ფლაკ. 2 მან. 529935. 529954. Метилъ. 1020

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: **ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: **სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: **სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: **სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: **სახ.-საბ.** № 83;7, დილ. 5 ს 28 წ

ყარსიდან: **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: **სახ.** № 43. დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: **სახალ.** № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: **სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: **სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს **სახ** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: **სახ.** № 26, დილ. 6 ს, 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; **სახ.** № 3 II შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. [illegible] ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: **სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს, 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. **სახ.** № 4[illegible], ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა; ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას, მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“
საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევს**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა .**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ,

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ [illegible]. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“
საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. [illegible] ს. 41 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

[illegible], 11—12 **გ. ა. მირაჭოვი** (მიქელის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სიდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 6[illegible]9).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 7[illegible]5).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანი ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე [illegible] № [illegible]

მემ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.
ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგაბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. სხვებით ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარამეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი სასუნთქი და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი 1—2 ს. სხვებით და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ ს ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1604 დოქტორი ზ. ა. ნ ვასარდიანი.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანუარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მეხანიკური ნაწარმოები. 30.

დ. ზესტაფონში
ექიმი კბილისა ბაბილინა ცხადაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

ვასწავლი
ქართულ
„სიმღერა-გალობას“
ჩაწერა და მიღება ყოველ დღე, ავჭალის მოედანი № 11, მიხეილ კავსაძესთან. 886

10 მან. თვეში
ვამზადებთ, ძლიერ ბეჯითად ბავშვებს, მაისისა და აგვისტოს ეგზამენებზე მისაღებად: გიმნაზიაში, კადეტ-კორპუსში, სათავადაზნაურო, რეალურ, კომერციულ და სასულიერო სასწავლებლებში 1, 2, 3 და 4 კლასში (ჩვენმა შეგირდებმა ძლიერ ბეჯითად დაიჭირეს ეგზამენი შარშან და იქმნენ მიღებულნი ზემოხსენებულ სასწავლებლებში ძლიერ მცირე ხა [illegible] გავდივართ მთელს კურსს მათემატიკისას, ვწორებთ სუსტ მოწაფეებს, რომელთაც აქვთ [illegible] ლითში „ორები“, როგორც მათემატიკაში, [illegible] რედვე ყველა საგნებში. [illegible] № 3, პირველ კომერციულ სასწავლებ[illegible] ლოს, ეკატერინის ქუჩის ბოლოს. მიღება 9—2 ს. 3—4 ს.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია [illegible]ება
ნ. შიუკა[illegible]ის
პიესა „მეგობრ[illegible]“ დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიგე, № 4ა, სადგ. მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:	
[illegible]	სპექტიორი გ. მ.	8½—9½	ს.
	გაზაზოვი ა. ა.	10—11	ს.
	იაშვილი ა. ლ.	11—12	ს.
	აბაკელია ი. კ.	12—1	ს.
	ლოლობერიძე ზ. მ.	12½—1½	ს.
[illegible]	ბრიგორიანი ა. ი.	11—12	ს.
	მელკონიანი ვ. ა.	12—1	ს.
	ჯაში ი. ი.	9½—10½	ს.
[illegible]	გრიგორიანი ა. ი.	11—12	ს.
[illegible]	ექიმი-ქალი საჯვარელიძე დ. ბ.	11—12	ს.
	ლოლობერიძე	12½—1½	ს.
[illegible]	შტრეიხერი მ. ა.	12 12½	ს.
[illegible]	შაპელნიკოვი ზ. ი.	1½—2½	ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი [illegible] მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილი[illegible] რა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენ[illegible] და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა ასრულებს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტვირთის მეეტლეთა მამასახლისისა და მისი თანაშემწის არჩევანი დანიშნულია იანვრის 27, სამშაბათს, ნაშუადღევის ს[illegible] საათზე. გამგეობა სთხოვს მეეტლეებს, აღნიშნულ დროს მობრძან[illegible] გამგეობის სადგომში, ცხენის გადასახადის კვიტანციებით, სავალდებულ[illegible] დადგენილებათა წიგნაკებით და მიჩემლ ნიშნებით. 1028.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:

აბაშიძე გრ.	ფ. 60 კ.	თამარიანი, გუგუნავასი	50 „
ბარათაშვილი ნ.	„ 40 „	ორბელიანი ვახტ.	60 „
შენიკი. სიკვ. ... აზმ. სახ. გამ.	1 მ.—	ორბელიანი გრ. რჩეული ლექს.	20 „
გურამიშვილი დ. „დავითიანი“	1 მ.—	სილოვანის ლექსები 1878—1894.	50 „
გურიელი მამია	1 მ.—	ცისკარი. რუსხის ლექსები	25 „
განდეგილის ლექსებ.	— 50 „	შანშიაშვილი. შვების თავადი	60 „
ლუტუ მეგრელი წ. I ლექსებ.	70 „	ჭავჭავაძე ალ ლექსები	30 „
ერისთავი რაფ. წ. I	1 მ.	ჭავჭავაძე ილ.	27 „
ევდოშვილი, ლექსები და პოემები	60 „	წერეთელი აკაკი ტ. I	1 მ.—
ვაჟა-ფშაველა	1 მ. -	— — ტ. II	1 მ.—
ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც.	10 მ. 65 „	— —ჩემი ნაწერ. ტ. I	75 „
„ „ ქ. შ. წ. კ ს. გამ.	60 „	— — იგავ-არაკნი	50 „

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности срел. гр. нас. 1141

მივიღეთ საუკეთესო გემის მარცვლოვანი,
ქვირითის (კატოვ.) ხიზილალა,
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სათევზელოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ფარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი, და ყოველგვარი
შავი ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

ტფილისი მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.